პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 88 (6399)

13 მაისი, კვირა. 1979 წ.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# აღვზარდოთ სპეციალისტი და მოქალაქე

სტუდენტი — სპეციალისტი, სტუდენტი — მოქალაქე, სტუდენტი — მებრძოლი... ეს ცნებები გახდა ჩვენი სტუდენტობის საქართველოს კომკავშირის ერთ-ერთი ავანგარდული რაზმის ცხოვრების საზომი. სწავლაში, შრომაში, საზოგადოებრივ მუშაობაში სტუდენტს ზრდის კომკავშირი.

კომკავშირი ყოველთვის იყო და არის პარტიის, სახელმწიფოს ერთგული თანაშემწე უმაღლესი სკოლის აღორძინებასა და განვითარებაში, სპეციალისტთა კადრების მომზადებაში. და თავის მაღალ მისიას იგი განუხრელად უკავშირებს იმას, რომ თითოეული ახალგაზრდა კაცი აღზარდოს მოქალაქედ, მებრძოლად, რომელიც ძლიერი იქნება თავისი იდეური მრწამსით, ზნეობრივი იდეალების სიმაღლით, დიადი მიზნის — კომუნისტური საზოგადოების აშენებისადმი ერთგულებით.

ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა ახლა, „იდეოლოგიურ, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად, რომელშიც ხაზგასმულია, რომ კომკავშირის კომიტეტებმა მტკიცედ და თანამიმდევრულად უნდა განახორციელონ ლენინის უკვდავი ანდერძი — „ვისწავლოთ კომუნიზმი“, იდეური გავლენა მოახდინონ ახალგაზრდობის ყველა ჯგუფზე, აღზარდონ ისინი პარტიისა და ხალხის რევოლუციურ, საბრძოლო და შრომითს ტრადიციებზე, კომუნისტური მორალის სულისკვეთებით.

სწორედ ამ აზრით იყო თავიდან ბოლომდე განმსჭვალული სტუდენტთა აქტივის რესპუბლიკური კრების მთელი მუშაობა, რომელიც 12 მაისს გაიმართა თბილისში. კრების მონაწილეებმა განიხილეს საკითხი „სკკპ XXV ყრილობის მოთხოვნათა და „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად მაღალკვალიფიციური სპეციალისტების, ღირსეული მოქალაქეების, აქტიური პოლიტიკური მებრძოლების აღზრდაში რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციების როლის ამაღლების შესახებ“.

დარბაზში შეიკრიბნენ ქართველი სტუდენტობის 90 ათასიანი არმიის საუკეთესო წარმომადგენლები, რესპუბლიკის ცხრამეტივე უმაღლესი სასწავლებლის კომკავშირული მუშაკები და აქტივისტები. მათთან ერთად აქ არიან პროფესორ-მასწავლებლები, რექტორატების, დეკანატებისა და კათედრების, უმაღლესი სასწავლებლების პარტიული ორგანიზაციების წარმომადგენლები, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, წარმოების მოწინავენი, კომკავშირის საოლქო, საქალაქო კომიტეტების მდივნები.

კრების პრეზიდიუმში არიან ამხანაგები **ე. ა. შევარდნაძე, პ. გ. გილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, თ. ნ. მენთეშაშვილი, ზ. ა. პატარიძე, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ხ. ე. ხაბეიშვილი, თ. ი. მოსაშვილი, ვ. რ. პაპუნიძე, ფ. ხ. სანაკოევი, ჟ. ქ. შარტავა**, პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელი მუშაკები, სტუდენტთა რესპუბლიკური საბჭოს წარმომადგენლები, სწავლის ფრიადოსნები და სტუდენტთა სამშენებლო რაზმების მებრძოლები, მეცნიერებისა და კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეები.

ერთსულოვნად, უდიდესი აღმავლობით აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ **ლ. ი. ბრეჟნევის** მეთაურობით.

ჟღერს მუსიკა. აქტივის კრება საქართველოს თითოეული უმაღლესი სასწავლებლისაგან იბარებს პატაკს. სტუდენტთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდენტი **მ. ლომიძე** პრეზიდიუმს აბარებს საქართველოს სტუდენტობის გაერთიანებულ პატაკს.

კრებაზე მოხსენება გააკეთა **ჟ. ქ. შარტავამ.**

სტუდენტთა აქტივის კრებაზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ე. ა. შევარდნაძემ.**

რესპუბლიკის სტუდენტთა აქტივის კრებამ მიიღო რეზოლუცია.

კრების მონაწილეებმა მისასალმებელი წერილი გაუგზავნეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს.

მთელი სტუდენტი ახალგაზრდობის სახელით აქტივის მონაწილეებმა მიიღეს წერილი-მიმართვა XXI საუკუნის სტუდენტობისადმი. წერილი-მიმართვა, სხვა მასალებთან ერთად, რომლებიც ასახავენ სტუდენტთა აქტივის კრების მუშაობას, საგანგებოდ შეინახება კომკავშირულ ქალაქ ბორის ძნელაძეში წარწერით „გაიხსნას 2017 წლის 7 ნოემბერს, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 100 წლისთავის დღესასწაულის დღეს“.

აქტივის მონაწილეები ფეხზე ამდგარი მღერიან სტუდენტთა ჰიმნს „გაუდეამუს იგიტურს“, გაისმის შეძახილები: გაუმარჯოს სახელოვან საბჭოთა სტუდენტობას! გაუმარჯოს ლენინურ კომკავშირს! გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას!

(საქინფორმი).

## ტრადიციული საერთაშორისო ასპარეზობა მშვილდოსნობაში

# „გაზაფხულის ისრების“ მეთერთმეტე სტარტი

**დღეს იწყება და 16 მაისს დამთავრდება მშვილდოსანთა საერთაშორისო შეჯიბრება „გაზაფხულის ისრები“, რომელსაც წლეულს მეთერთმეტედ აწყობს საბჭოთა კავშირის სპორტკომიტეტი და მშვილდოსნობის ფედერაცია.**

თბილისის იპოდრომზე გამარჯვებისთვის იბრძოლებენ დიდი ბრიტანეთის, უნგრეთის, გფრ-ის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, იტალიის, ფინეთის, საფრანგეთისა და სსრ კავშირის საუკეთესო სპორტსმენები.

გუშინ შეჯიბრებისადმი მიძღვნილ პრეს-კონფერენციას ჟურნალისტებთან ერთად ესწრებოდნენ მონაწილე გუნდების წარმომადგენლები, ტურნირის ორგანიზატორები.

პრეს-კონფერენცია გახსნა საქართველოს მშვილდოსნობის ფედერაციის თავმჯდომარემ **ლ. ხარბედიამ.** ტურნირის რეგლამენტზე ილაპარაკა საკავშირო სპორტკომიტეტის სახელმწიფო მწვრთნელმა მშვილდოსნობაში **გ. გორდიენკომ.** მან, აგრეთვე, საკავშირო ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა **ა. ბალოვმა**, შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა **ი. საიკომ**, უცხოეთის დელეგაციების წარმომადგენლებმა პასუხი გასცეს ჟურნალისტთა შეკითხვებზე.

წლევანდელი ტურნირი ერთგვარად შეცვლილი ფორმულით ტარდება, თუ მანამდე შეჯიბრებანი „გაზაფხულის ისრებზე“ პირადი ხასიათისა იყო, ამჯერად პირად-გუნდური ასპარეზობა იქნება. თითოეულ კოლექტივს, როგორც ვაჟთა, ისე ქალთა შორის, 4-4 მშვილდოსანი გამოჰყავს. ჩათვლაში 3-3 საუკეთესო მაჩვენებელი შედის.

პრეს-კონფერენციაზე გაირკვა, რომ თბილისში საასპარეზოდ ჩამოვიდა 106 მონაწილე, მათ შორის 40 ქალი. მშვილდოსანთა შორის არიან საქვეყნოდ აღიარებული ოსტატები და შედარებით ახალგაზრდებიც, რომლებიც თბილისურ სტარტს განიხილავენ, როგორც მოსკოვის ოლიმპიადის მზადების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეტაპს.

მაყურებლები იხილავენ ევროპის აბსოლუტურ ჩემპიონებს **ვ. კოვპანს** (სსრ კავშირი) და **ქ. ლაასონენს** (ფინეთი), ჩვენი ქვეყნის ნაკრების ყველა წარმომადგენელს, საუკეთესო ფინელ, უნგრელ, იტალიელ, პოლონელ და სხვა ოსტატებს.

ტურნირები ყოველდღე 10 საათიდან იწყება.

### შეჯიბრების კალენდარი

**13 მაისი.** 10 საათი. შეჯიბრების საზეიმო გახსნა.

10.30-13.00. **ვაჟები.** 90 მეტრიდან სროლა; **ქალები.** 70 მეტრიდან ასპარეზობა.

13.40-16.00. **ვაჟები.** 70 მეტრზე სროლა; **ქალები.** 60 მეტრზე შეჯიბრება.

**14 მაისი.** 10.00-12.30. **ვაჟები და ქალები.** 50 მეტრიდან ასპარეზობა.

13.10-15.30 **ვაჟთა და ქალთა** შეჯიბრება 30 მეტრზე.

**15 მაისი.** 10.00-12.30. **ვაჟთა** ტურნირი 90 მეტრზე; **ქალთა** შეჯიბრება 70-მეტრიან დისტანციაზე.

13.10-15.30. **ვაჟების** ასპარეზობა 70 მეტრზე; **ქალების** ტურნირი 60 მეტრზე.

**16 მაისი.** 10.00-12.30. **ვაჟთა და ქალთა** შეჯიბრება 50 მეტრზე.

13.10-15.30. **ვაჟთა და ქალთა** ტურნირი 30 მეტრზე.

16.00. შეჯიბრების საზეიმო დახურვა.

## საქართველოს სპორტკომიტეტში



# სტუდენტთა ერთგული მეგობარი

**სტუდენტი** ახალგაზრდობა ყოველთვის დიდ ინტერესს იჩენდა ფიზკულტურისა და სპორტის მიმართ და რაც დრო გადის, უფრო ღრმა, ყოვლისმომცველი ხდება ეს ინტერესი.

თანამედროვე სტუდენტი კარგად ერკვევა სპორტის დიდი სამყაროს ნიუანსებში, რადგან ფიზიკური კულტურა მისთვის უცხო ხილი როდია: მონაწილეობს სპორტულ ასპარეზობებში, ამაყად ატარებს მშდ კომპლექსის სამკერდე ნიშანს, ზოგიერთი კი სპორტული დაოსტატების მაღალ საფეხურზეც დგას...

ეს ჭეშმარიტება ერთხელ კიდევ დაადასტურა საქართველოს სპორტკომიტეტში 11 მაისს გამართულმა სტუდენტი ახალგაზრდობის წარმომადგენელთა შეხვედრამ რესპუბლიკის გამოჩენილ სპორტსმენებთან, მწვრთნელებთან, სპორტის სპეციალისტებთან.

საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარე **დ. პერტენავა** სტუმრებს ესაუბრა რესპუბლიკის ნაკრები გუნდების, ცალკეული სპორტსმენების მზადებასა და მათ მომავალ გამოსვლებზე სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადის ფინალურ სტარტებში, სპორტის მთელ რიგ სახეობათა განვითარების მდგომარეობასა და პერსპექტივებზე, ფიზიკური კულტურისა, სპორტის უდიდეს როლზე ყოველმხრივ განვითარებული ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში.

შემდეგ სტუდენტებმა შეკითხვებით მიმართეს სპორტის დამსახურებულ ოსტატს, სამი ოლიმპიადის ჩემპიონს **ვ. სანეევს**, სსრ კავშირისა და ევროპის არაერთგზის ჩემპიონს **დ. კვაჭაძეს**, ჭადრაკში ქალთა მსოფლიო პირველობის მომავალი საზონათშორისო ტურნირის მონაწილეს **ნინო გურიელს**, რომლებმაც ილაპარაკეს ბოლო დროს ნაჩვენებ სპორტულ შედეგებზე, იმაზე, თუ როგორ ემზადებიან სეზონის მთავარი გამოცდის — სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადის ფინალისთვის.

თავის მხრივ სტუდენტებმა მასპინძლებს აცნობეს, რომ ისინი აქტიურად მონაწილეობენ თავიანთი ინსტიტუტების სპორტულ ცხოვრებაში, რომ ფიზკულტურა და სპორტი მათი ერთგული თანაშემწე და მეგობარია.

საინტერესო შეხვედრის დასასრულს სტუმრებმა მიიღეს სამახსოვრო საჩუქრები და, რა თქმა უნდა, გამოჩენილი სპორტსმენების ავტოგრაფები...

**სურათზე: თბილისის სტუდენტთა წარმომადგენლები და სპორტსმენები საქართველოს სპორტკომიტეტში.**

**ა. კოტორაშვილის ფოტო.**

● ჭადრაკი

# დაწინაურდა სტუმარი

**გამარჯვების** დღისადმი მიძღვნილი საქართველოს, უკრაინისა და მოლდავეთის მოჭადრაკეთა ტურნირის ყველა მონაწილე თავისი რესპუბლიკის ნაკრები გუნდის წევრია. ყოველი მათგანი ტურნირში „გენერალურ რეპეტიციას“ გადის საბჭოთა კავშირის VII სპარტაკიადის წინ, ამიტომ ბრძოლა დაძაბულად მიმდინარეობს. ოსტატები ტოლს არ უდებენ დიდოსტატებს და მათთან შეხვედრებში დაწინაურდნენ კიდეც — 9:6.

VI ტურში პირველი მარცხი იწვნია ერთ-ერთმა ლიდერმა ე. უბილავამ. გ. ზაიჩიკთან პარტიაში მან კატალონური დასაწყისი გაითამაშა და თანაბარი მდგომარეობა მიიღო, მაგრამ შემდეგ ზაიჩიკმა შეძლო გამსვლელი პაიკის შექმნა და ორი კუს დახმარებით მისი რეალიზება.

ლვოველმა დიდოსტატმა ო. რომანიშინმა ორიგინალურად გაითამაშა დებიუტი ი. ჩიქოვანის წინააღმდეგ. თბილისელმა ოსტატმა ვერ გამოიყენა პოზიციის შესაძლებლობანი, მძაფრი იერიშის ქვეშ მოჰყვა და დამარცხდა.

პირველი გამარჯვება იზეიმა ბ. გურგენიძემ დიდოსტატ ა. ლუტიკოვთან (ტირასპოლი) შეხვედრაში. ამჯერად თბილისელმა დიდოსტატმა ზუსტად, დიდი ალმავლობით წარმართა იერიში მეტოქის პოზიციის წინააღმდეგ.

6 ტურის შემდეგ ლიდერობს ო. რომანიშინი — 4 ქულა. ე. უბილავას — 3,5 (1) ქულა აქვს, გ. ზაიჩიკს — 2,5 (3).

**მ. შიშოვი,**

**შეჯიბრების მთავარი მსაჯის მოადგილე, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.**

**გუშინ** დილით დამთავრდა გადადებული პარტიები: ჩეჩელიანმა მოუგო გურგენიძეს, ჩიქოვანმა — პოდგაეცს, დაზავდნენ იზვოზჩიკოვი — გუფელდი, ზაიჩიკი — ჩეჩელიანი, აზმაიფარაშვილი — პოდგაეცი.

საღამოს გაიმართა VII ტური. პოდგაეცმა მოუგო ჩეჩელიანს, ზაიჩიკმა — ლუტიკოვს, იზვოზჩიკოვმა — ჩიქოვანს. ყაიმზე შეთანხმდნენ უბილავა — აზმაიფარაშვილი, სტურუა — ლერნერი.

**ამჯერად** ცეცხლის ხაზზე რატომღაც ვერ ვიხილეთ რესპუბლიკის ნაკრების კანდიდატები, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები გ. რიყამაძე („ბურევესტნიკი“) და ნ. მიქელაძე („ლოკომოტივი“). კითხვაზე, თუ რატომ არ გამოვიდნენ უნივერსიტეტის ეს სტუდენტები საასპარეზოდ, ამომწურავი პასუხი ვერც ნაკრების ხელმძღვანელებმა მოგვცეს. არა და, იმ საზოგადოებებს, რომლებსაც რიყამაძე და მიქელაძე ეკუთვნიან, თბილისის საქალაქო სპარტაკიადაში ჩასათვლელი ქულები ნამდვილად არ აწყენდა. ეს განსაკუთრებით რკინიგზელებზე ითქმის, რადგან „ლოკომოტივმა“ სრული გუნდის დაკომპლექტება ისეც ვერ შეძლო.

სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადისთვის მზადებაში ყოველ სტარტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. მართალია, საქალაქო ტურნირში არც ქ. ლოსაბერიძე გამოსულა, მაგრამ მისი, როგორც საკავშირო ნაკრების წევრისა, ყველას სჯერა.

თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე გამართულმა შეჯიბრებამ რესპუბლიკის 3 წამყვანი მშვილდოსნის გარეშეც საინტერესო ბრძოლაში ჩაიარა, რასაც ტონი მისცა ასპარეზობაში საკავშირო ნაკრების წევრების მონაწილეობამ (ისინი ჩვენს დედაქალაქში „გაზაფხულის ისრების“ საერთაშორისო ტურნირში ასპარეზობისთვის ემზადებოდნენ). სტუმრები ძალებს ცდიდნენ მხოლოდ მ-1 ვარჯიშში და საკმაოდ მაღალი შედეგებიც მოიკოვეს. ვაჟთა შორის გამარჯვებულმა ჩიტელმა ვ. ეშეევმა 1308 ქულა მოაგროვა, 29 ქულით მეტი, ვიდრე სამი კვირის წინ თბილისის იპოდრომზე ჩატარებულ საკავშირო ტურნირში. ქალთა შორის ნ. ბუტუზოვამ (ტაშკენტი) 1294 ქულას მოუყარა თავი. ესეც კარგი შედეგია და იგი 91 ქულით

# სტუდენტები უკეთ ისროდნენ

აღემატება საკავშირო ტურნირში პირველ ადგილზე გასული ირკუტსკელი ლ. შიკოტას მაჩვენებელს.

რაც შეეხებათ მასპინძლებს, ვაჟთა შორის ლიდერობა თავიდანვე ხელთ იგდო სპორტის ოსტატმა ს. აბრამიშვილმა („ბურევესტნიკი“). მან ტურნირის პირველ ნახევარში ნაჩვენები 1204 ქულით ქვეყნის ნაკრების ორი წევრის — ვ. მაქსიმოვისა და ა. რეზნიკოვის დამარცხება შეძლო.

საბოლოოდ, როცა სპარტაკიადის მონაწილეებმა ოთხდღიანი ტურნირი დაამთავრეს, აბრამიშვილი ყველასთვის მიუწვდომელი გამოდგა — მ-2 ვარჯიშის ჯამში მან 2339 ქულა მოაგროვა და 58 ქულით ჩამოიტოვა მეორე პრიზიორი ა. კაპიტანოვი („ლოკომოტივი“). საინტერესოა ერთი დეტალი. ამას წინათ თბილისის იპოდრომზე გამართულ საკავშირო შეჯიბრებაში პირველ ადგილზე გასულმა ვ. ეშეევმა მხოლოდ 2325 ქულის მოგროვება შეძლო. ეს ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ აბრამიშვილი პერსპექტიული მშვილდოსანია და სპეციალისტები მისგან სამართლიანად მოელიან მაღალ მაჩვენებლებს.

სპარტაკიადაში მესამე საპრიზო ადგილი ხვდა „კოლმეურნეს“ გუნდის წევრს, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს ვ. ტროპინს — 2269. აქვე დავუმატებთ, რომ ცალკეულ დისტანციებზე ვარჯიშის ორჯერადი შესრულებით აბრამიშვილმა ყველას აჯობა 70 მეტრიდან (600 ქულა), 50 მეტრიდან (617) და 30 მეტრიდან (664) შეჯიბრებაში. 90 მეტრზე უძლიერესი იყო დინამოელი ნ. ნოვოსელცოვი — 485.

ქალებში რკინიგზელთა გუნდის წევრი, სპორტის ოსტატი ტ. ლოგინოვა დაწინაურდა, მაგრამ მერე უპირატესობა თანდათან ხელიდან გაუშვა. მას ჯერ ე. გოლუბოვამ („ბურევესტნიკი“) გაასწრო, მერე ორივე რ. ქართველიშვილმა ჩამოიტოვა და საბოლოოდ საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: რ. ქართველიშვილი („ბურევესტნიკი“) — 2308 ქულა, ე. გოლუბოვა — 2282, ტ. ლოგინოვა — 2228. აღსანიშნავია, რომ ქართველიშვილისა და გოლუბოვას შედეგები ბევრად აღემატება სპორტის ოსტატის ნორმატივს.

ცალკეულ დისტანციებზე ქართველიშვილი პირველი იყო 50 მეტრიდან (584) და 30 მეტრიდან (552) ასპარეზობაში. ლოგინოვა უძლიერესი იყო 70 მეტრზე (555), ხოლო გოლუბოვა — 60 მეტრზე (581).

საქალაქო სპარტაკიადისთვის ყველაზე უკეთ მომზადებული „ბურევესტნიკი“ აღმოჩნდა — 30 ქულა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ „ლოკომოტივი“ — 18, „კოლმეურნე“ — 10, „სპარტაკი“ — 6, „დინამო“ — 4, „განთიადი“ — 2, ასკ — 1. ეს ციფრებიც ნათლად მეტყველებენ, რომ გუნდების უმეტესობა ერთი ან ორი სპორტსმენისგან შედგებოდა. არმიელებსა და დინამოელებს ქალები საერთოდ არ ჰყავდათ.

**ო. ივდოშვილი.**

* * *



**სურათზე:** მარცხნიდან — ვ. ეშეევი, ვ. კოვპანი, რ. ქართველიშვილი და ს. აბრამიშვილი შესვენების დროს.

ე. ხუცურაულის ფოტო.

# ვინ როგორ მუშაობს?

**საქართველოს** სპორტკომიტეტმა შეაჯამა რესპუბლიკის სპორტსაზოგადოებებს, უწყებებს, ქალაქებსა და რაიონების ფიზკულტურულ კომიტეტებს შორის უმაღლესი სპორტული ოსტატობის განვითარებისთვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგები 1979 წლის ოთხი თვის მანძილზე.

**I ჯგუფი — ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქების ჯგუფი**

| | ადგილები | | | ქ. |
|---|---|---|---|---|
| | I | II | III | |
| ქ. თბილისი | 130 | 115 | 125 | 2147,0 |
| აჭარის ასსრ | 19 | 13 | 12 | 299,0 |
| ქ. ქუთაისი | 11 | 4 | 6 | 149,8 |
| ქ. რუსთავი | 4 | 6 | 9 | 97,8 |
| ქ. გორი | 4 | 3 | 12 | 76,0 |
| სამხრ. ოს. ა. ო. | 1 | 2 | 1 | 27,0 |
| ქ. ფოთი | — | 3 | 1 | 19,4 |
| აფხაზეთის ასსრ | 2 | — | 3 | 18,0 |
| ქ. ზუგდიდი | 1 | — | — | 15,0 |
| ქ. ჭიათურა | — | 1 | — | 6,0 |

**II ჯგუფი — სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების ჯგუფი**

| | I | II | III | ქ. |
|---|---|---|---|---|
| „შრ. რეზერვ.“ | 21 | 26 | 18 | 583,0 |
| „ბურევესტ.“ | 21 | 22 | 24 | 432 |
| „განთიადი“ | 22 | 14 | 35 | 408,0 |
| „დინამო“ | 36 | 39 | 30 | 368,0 |
| ასკ | 23 | 13 | 28 | 347,0 |
| „სპარტაკი“ | 18 | 8 | 21 | 301,6 |
| „ლოკომოტ.“ | 15 | 18 | 14 | 270,0 |
| „კოლმეურნე“ | 14 | 9 | 20 | 265,0 |
| „ვოდნიკი“ | 7 | 11 | 7 | 142,4 |

**III ჯგუფი — რესპუბლიკის რაიონები**

| | I | II | III | ქ. |
|---|---|---|---|---|
| ბორჯომი (ჩ. სახ.) | 7 | 7 | 7 | 168,0 |
| კასპი | 4 | 5 | 8 | 80,0 |
| გარდაბანი | 2 | 3 | 7 | 50,0 |
| ორჯონიკიძე | 2 | 1 | 5 | 42,0 |
| ახმეტა | — | 3 | — | 39,0 |
| დუშეთი | 2 | 1 | 1 | 31,0 |
| ხაშური | 2 | — | — | 25,0 |
| მახარაძე | 1 | — | 3 | 24,0 |
| სიღნაღი | 1 | — | — | 10,0 |
| საჩხერე | — | 1 | — | 6,0 |
| ზესტაფონი | — | — | 1 | 3,0 |
| თელავი | — | 1 | 1 | 2,0 |
| საგარეჯო | — | — | 1 | 2,0 |

**შენიშვნა:** 1. გრაფაში „დაკავებული ადგილები“ აღნიშნულია სპორტსმენების (გუნდების) მიერ ცენტრალური საბჭოების, საკავშირო პროფსაბჭოს შეჯიბრებებში, სსრ კავშირის, ევროპისა და მსოფლიოს პირველობებსა და ჩემპიონატებში, საერთაშორისო ტურნირებში მოპოვებული ადგილების რაოდენობა.

2. გრაფაში „ქულები“ გათვალისწინებულია მხოლოდ ოლიმპიურ სახეობებში მოპოვებული ქულები. აქ პირველი ადგილისთვის იწერება 5 ქულა, მეორისთვის — 3, მესამისთვის — 1. სათანადო კოეფიციენტის გათვალისწინებით.

**საქართველოს სპორტკომიტეტის დაგეგმვისა და აღრიცხვის განყოფილება.**

**ჩვენი** რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტების, პროფესორ-მასწავლებლების, თანამშრომლების ფიზიკური სრულყოფისთვის ზრუნვა ავალიათ ამ სასწავლებლების ფიზაღზრდისა და სპორტის კათედრებს, ფიზკულტურული კოლექტივების საბჭოებს.

ფიზკულტურასა და სპორტში სტუდენტებისთვის აკადემიური საათების გარდა ყველგან შექმნილია ჯგუფები და სექციები სხვადასხვა სახეობაში. ეწყობა შიდასაკურსო, საფაკულტეტო და საინსტიტუტო პირველობები და სპარტაკიადები, რომლებზეც ჯამდება თუ სად როგორ არის დაყენებული ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული საქმიანობა. ყველაფერ ამას ხელმძღვანელობას, კონტროლს უწევს სტუდენტთა ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკური საბჭო, რომელიც თავის სპარტაკიადებსა თუ უნივერსიადებში ყოველწლიურად აჯამებს უმაღლეს სასწავლებლებში ამ მიმართებით გაწეულ მუშაობას.

ამგვარი მორიგი დათვალიერება — „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკური სპარტაკიადა, რომელიც სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადას ეძღვნება, დასასრულს უახლოვდება. მის პროგრამაში 14 სახეობაა. ცხრა სახეობაში ასპარეზობები უკვე დამთავრდა. „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკური საბჭოსა და უმაღლესი სასწავლებლების ფიზაღზრდისა და სპორტის კათედრების კავშირის კიდევ უფრო განმტკიცებამ, სტუდენტთა შორის სპორტის აღმავლობისთვის ხელიხელჩაკიდებულმა მუშაობამ განაპირობა, რომ ეს საზოგადოება თანდათან იბრუნებს რესპუბლიკაში წამყვან პოზიციებს. ახლა „ბურევესტნიკის“ აღზრდილები, უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები შეადგენენ ძირითად ბირთვს საქართველოს ნაკრები გუნდებისა, რომლებმაც წელს სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადაში უნდა იასპარეზონ.

„ბურევესტნიკის“ სპარტაკიადა სტუდენტური ძალების მორიგი დათვალიერება და იმის ცდაა, რომ მოძებნონ ახალი, ნიჭიერი ათლეტები, რომლებიც რესპუბლიკურ

**● „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკური სპარტაკიადა**

# საერთო ზრუნვით მეტს მივაღწევთ

ნაკრებს მორიგ შევსებას მისცემენ. სპარტაკიადის მსვლელობაზე, დამთავრებულ სახეობებში მის შედეგებზე გვესაუბრა „ბურევესტნიკის“ სპარტაკიადის მთავარი მდივანი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი ბ. კოვალიოვი.

— ეს კომპლექსური შეჯიბრება, რომელსაც წლეულს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ორ ჯგუფად ეწყობა. პირველი ჯგუფის კოლექტივებს შორის ყველაზე უკეთესად მომზადებულა ფიზკულტურის ინსტიტუტის ნაკრები, რომელსაც ფეხდაფეხ მიჰყვებიან საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და უნივერსიტეტის სპორტსმენები. მეორე ჯგუფში გორის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტები დაწინაურდნენ.

სპარტაკიადამ ცხადყო, რომ წინა წლებთან შედარებით მასობრივი გამოდგა შეჯიბრებები ფრენბურთში, კალათბურთში, ხელბურთში. ამ სახეობებში 9-10 ნაკრები მონაწილეობდა. კრივში თავიანთი წარმომადგენლები 6 კოლექტივმა გამოგზავნა, ბრძოლებიც უფრო დაძაბული და საინტერესო იყო, ამაღლდა ტექნიკური შედეგები, მაგრამ ეს ზრდა ძირითადად სწორედ ზემოთ დასახელებული სასწავლებლების სტუდენტთა ხარჯზე მოდის, რასაც რესპუბლიკის რიგი სასწავლებლების შესახებ ვერ ვიტყვით.

მართალია, წლევანდელ სპარტაკიადაში ცალკეულ სახეობებში გაცილებით მეტი კოლექტივი მონაწილეობდა, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომლებმაც გუნდი სპორტის არცერთ სახეობაში არ გამოიყვანეს. ეს კონსერვატორიისა და აფხაზეთის უნივერსიტეტის შესახებ ითქმის. ჯერ კიდევ სუსტად მუშაობენ ბათუმის პედაგოგიური და ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტების ფიზაღზრდისა და სპორტის კათედრები.

იმის გამო, რომ პერიფერიების უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტთა შორის მხოლოდ რამდენიმე სახეობის დანერგვისთვის ზრუნავენ, რიგ სახეობებში 3-4 კოლექტივი იბრძოდა. მაგალითად, ტანვარჯიშში 3 ვაჟთა და 2 ქალთა კოლექტივი ასპარეზობდა. ფარიკაობაში 4 გუნდი გამოვიდა და იქაც ფიზკულტურისა და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტების წარმომადგენლების უპირატესობა აშკარა იყო...

როგორც საუბარში გაირკვა, რესპუბლიკურ სპარტაკიადამდე უმაღლესმა სასწავლებლებმა თავიანთი პირველობანი გამართეს. ერთი ასეთი გახლდათ უნივერსიტეტში ჩატარებული სტუდენტური დღეები, რომლის სპორტულ ნაწილში ყველა ფაკულტეტის ათასობით ფიზკულტურელი მონაწილეობდა. ხალხმრავალი იყო ფიზკულტურის ინსტიტუტის შიდასაკოლექტივო შეჯიბრებებიც. სწორედ ამგვარმა ზრუნვამაც განაპირობა, რომ ფიზკულტურისა და საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტებს, უნივერსიტეტს, გორის და თბილისის პედინსტიტუტებს შარშანდელ სოციალისტურ შეჯიბრებაში საუკეთესო მაჩვენებლები ჰქონდათ და ახლა მაშინდელი მონაპოვრის განმტკიცებისთვის იბრძვიან.

— სტუდენტობა ჩვენი მომავალია, ამიტომაც მათ შორის მასობრივ-ფიზკულტურულ და გამაჯანსაღებელ მუშაობას, სპორტის აღმავლობას უფრო მეტი ყურადღება ეთმობა. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, უმაღლესი სასწავლებლების რექტორატების დახმარებით ჩვენ ფიზაღზრდისა და სპორტის კათედრებთან ერთად მივაღწევთ, რომ საქართველოს სტუდენტმა-სპორტსმენებმა უფრო მაღალი მწვერვალები დაიპყრონ. — გვითხრა „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ნ. ასათიანმა.

**ჯ. ქვარცხავა.**

**● ჩოგბურთი**

# გმირის მემორიალი

**მაისის** პირმცინარე მზე უხვად ურიგებდა სხივებს თბილისელებს. დარი დარობდა, ყველას საზეიმო განწყობილება ეხატებოდა სახეზე. ყოველ ნაბიჯზე შეგხვდებოდნენ მედლებით დამშვენებული ომის ვეტერანები. ისინი გამარჯვების დღეს ფიზკულტურის ინსტიტუტის ჩოგბურთის კორტებზეც მრავლად იყვნენ. აქ ხომ საბჭოთა კავშირის გმირის ვახტანგ ლეჟავას მემორიალი ტარდებოდა ჩოგბურთში ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ფიზკულტურის ინსტიტუტების 42 საუკეთესო სპორტსმენის მონაწილეობით.

ასპარეზობა, რომელიც სტუდენტურ დღეებს მიეძღვნა, საინტერესოდ წარიმართა. დაძაბული იყო განთიადელ ა. ივანოვასა და დინამოელ ნ. თუხარელის ორთაბრძოლა ფინალში, რომელშიც გამარჯვება ივანოვას ხვდა.

6 დღის ასპარეზობის შემდეგ საბოლოო შედეგები ასეთია: I ადგილი და საპატიო თასი ვაჟებს შორის დინამოელმა სპორტის ოსტატმა, ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა გ. ელერდაშვილმა მოიპოვა. II ადგილზე გამოვიდა ლვოველი სტუდენტი ს. გრუზმანი, III — თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი ვ. ბაქში.

ქალთა შორის გაიმარჯვა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ა. ივანოვამ, II ადგილზეა ნ. თუხარელი, III — დუშანბელი სტუდენტი გ. ბურლუცკაია.

ვაჟთა წყვილებს შორის გაიმარჯვეს თბილისელმა სტუდენტებმა: ნ. ელერდაშვილმა და გ. ზამბახიძემ. შემდეგ მოდიან ვ. ბაქში და ვ. ოსიპოვი, გ. კუშჩენკო და ს. ლობიშკინი (მოსკოვი).

ქალთა წყვილებში უძლიერესნი თბილისელები იყვნენ: ა. ივანოვა და ნ. თუხარელი.

შერეულ წყვილთა შორის გაიმარჯვეს მ. ელერდაშვილმა და ვ. ბაქშიმ. მომდევნო ადგილებზე არიან გ. ბლუაშვილი და ა. გეგეჭკორი, გ. ბურლუცკაია და ს. ტიუნინი (დუშანბე).

ასპარეზობის შემდეგ მთავარმა მსაჯმა — საკავშირო კატეგორიის არბიტრმა არჩილ ელერდაშვილმა გვიამბო:

— ვახტანგ ლეჟავამ თბილისის მე-8 საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ფიზკულტურის ინსტიტუტში განაგრძო სწავლა, მაგრამ ომის დაწყებამ ხელი შეუშალა მისი საუკეთესო სპორტული მონაცემების გაფურჩქვნას. პირველი კურსის სტუდენტმა მიატოვა ჩოგანი და სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა. 20 წლის ჭაბუკმა ბრძოლით გაიარა გზა ორჯონიკიძიდან ნიკოლაევამდე და სიცოცხლე შესწირა მამულის დაცვას. ვ. ლეჟავას საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა. ამ შესანიშნავი სპორტსმენისა და სტუდენტის პატივსაცემად ფიზკულტურის ინსტიტუტის რექტორატი და სპორტული კლუბი 1972 წლიდან მაისში რეგულარულად ატარებენ მისი სახელობის შეჯიბრებას, რომელსაც ესწრებიან ვ. ლეჟავას ფრონტელი მეგობრები და ახლობლები.

...ბოლო შეჯიბრებაზე გამარჯვებულებს ჯილდოები გმირის ძმამ — აკაკი ლეჟავამ გადასცა.

**მ. ჭამალაშვილი.**

# უმაღლესი ლიგა

## სპეციალისტის ბლოკნოტში

სტატისტიკის მოყვარულთათვის მოგვყავს სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის VIII ტურის ტექნიკური მონაცემები.

„დინამო“ მ. — „სპარტაკი“ 0:0.

დუბლიორები — 1:1.

„ჩერნომორეცი“ — „დინამო“ მნ 0:1. გოლი მასპინძელთა კარში მე-11 წუთზე გაიტანა ვასილევსკიმ.

გაფრთხილებულია მინსკელი კურნევი.

დუბლიორები — 1:4.

ასკ — „ზარია“ 2:2. ანგარიში არმიელმა ბონდარენკომ გახსნა 11-მეტრიანი დარტყმით, მერე კი მარკინმა კიდევ უფრო დააწინაურა როსტოველები. სტუმართაგან ორივე ბურთი გაიტანა ზავაროვმა.

დუბლიორთა მატჩი არ შემდგარა.

„ზენიტი“ — „ფახთაქორი“ 2:1. დეკტერევისა და კაზაჩონოკის 2 ბურთს სტუმრებმა მხოლოდ ერთით უპასუხეს (ფიოდოროვი).

დუბლიორები — 0:3.

ცსკა — „ტორპედო“ 1:2. გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს ვასილიევმა და იაკოვლევმა (პენალტი), ხოლო ცსკა-ს მხრივ— ტარხანოვმა. ტორპედოელმა სახაროვმა ვერ გამოიყენა პენალტი.

გაფრთხილებულია ტორპედოელი კრუგლოვი.

დუბლიორები — 0:0.

„შახტიორი“ — „ქაირათი“ 1:0. დონეცკელებს გამარჯვება მოუტანა ფედორენკოს მიერ 71-ე წუთზე გატანილმა ბურთმა.

დუბლიორები — 0:1.

„დინამო“ კ. — „არარატი“ 2:1. მე-16 წუთისთვის კოლოტოვს და სლობოდიანს 2 ბურთი ჰქონდათ გატანილი „არარატის“ კარში. ერთადერთი საპასუხო გოლი ეკუთვნის საკიანს.

დუბლიორთა შეხვედრა არ შემდგარა.

„ლოკომოტივი“ — „ნეფთჩი“ 0:0.

გაფრთხილებულია ბაქოელი პონომარიოვი.

დუბლიორები — 0:0.

### გათამაშების ცხრილი

#### ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 13 მაისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „შახტიორი“ | 8 | 7 | 1 | 0 | 17—2 | 15 |
| „დინამო“ თბ. | 8 | 7 | 1 | 0 | 16—2 | 15 |
| „დინამო“ მ. | 8 | 4 | 2 | 2 | 6—4 | 10 |
| ცსკა | 8 | 4 | 1 | 3 | 13—9 | 9 |
| „დინამო“ მნ. | 8 | 3 | 3 | 2 | 8—5 | 9 |
| „დინამო“ კ. | 8 | 3 | 3 | 2 | 7—6 | 9 |
| „სპარტაკი“ | 8 | 3 | 3 | 2 | 7—7 | 9 |
| „არარატი“ | 8 | 2 | 5 | 1 | 8—6 | 9 |
| „ზენიტი“ | 8 | 3 | 2 | 3 | 10—11 | 8 |
| „ფახთაქორი“ | 8 | 3 | 2 | 3 | 10—13 | 8 |
| „ჩერნომორ.“ | 8 | 3 | 2 | 3 | 8—7 | 8 |
| „ტორპედო“ | 8 | 3 | 2 | 3 | 8—7 | 8 |
| ასკ რ. | 8 | 1 | 6 | 1 | 8—10 | 8 |
| „ლოკომოტ.“ | 8 | 1 | 5 | 2 | 9—8 | 7 |
| „ნეფთჩი“ | 8 | 1 | 2 | 5 | 1—11 | 4 |
| „ზარია“ | 8 | 0 | 4 | 4 | 5—11 | 4 |
| „კრ. სოვეტ.“ | 8 | 1 | 0 | 7 | 5—14 | 2 |
| „ქაირათი“ | 8 | 0 | 2 | 6 | 3—16 | 2 |

# I ლიგა

11 მაისს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო გათამაშების მორიგი, XI ტურის შეხვედრები.

ქუთაისის ტორპედოელებს გასვლითი მატჩი ჰქონდათ ორჯონიკიძის „სპარტაკთან“. გამარჯვება წილად ხვდათ ქუთაისელებს — 1:0.

ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები ასეთია: „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) — „ტრაქტორი“ (პავლოდარი) 2:0, „დინამო“ (ლენინგრადი) — „კუზბასი“ (კემეროვო) 0:0, „შინიკი“ (იაროსლავლი) — „ზვეზდა“ (პერმი) 1:0, „ფაკელი“ (ვორონეჟი) — „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) 0:0, „ნისტრუ“ (კიშინიოვი) — „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) 0:0, ასკ (ოდესა) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 4:0, „კარპატი“ (ლვოვი) — „მეტალისტი“ (ხარკოვი) 3:0, „სპარტაკი“ (ივანო-ფრანკოვსკი) — „ტავრია“ (სიმფეროპოლი) 0:0, „თერგი“ (გროზნო) — „კოლხოზჩი“ (აშხაბადი) 2:1, „ყუბანი“ (კრასნოდარი) — „ალგა“ (ფრუნზე) 3:0, „სპარტაკი“ (ნალჩიკი) — „პამირი“ (დუშანბე) 2:0.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 13 მაისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „შინიკი“ | 11 | 8 | 3 | 0 | 18—4 | 19 |
| „ურალმაში“ | 11 | 6 | 4 | 1 | 17—6 | 16 |
| „კარპატი“ | 10 | 7 | 1 | 2 | 19—9 | 15 |
| „ტორპედო“ | 10 | 5 | 4 | 1 | 11—4 | 14 |
| „ყუბანი“ | 10 | 6 | 1 | 3 | 16—11 | 13 |
| „ჟალგირისი“ | 11 | 4 | 5 | 2 | 12—8 | 13 |
| „მეტალისტი“ | 11 | 5 | 2 | 4 | 8—10 | 12 |
| „დნეპრი“ | 11 | 4 | 4 | 3 | 13—13 | 12 |
| „კუზბასი“ | 11 | 5 | 1 | 5 | 10—8 | 11 |
| „ფაკელი“ | 10 | 4 | 3 | 3 | 12—9 | 11 |
| „ტრაქტორი“ | 11 | 4 | 3 | 4 | 7—8 | 11 |
| „ტავრია“ | 11 | 4 | 3 | 4 | 7—10 | 11 |
| „სპარ.“ ი.-ფ. | 11 | 4 | 3 | 4 | 7—11 | 11 |
| „თერგი“ | 11 | 3 | 5 | 3 | 11—13 | 11 |
| „სპარ.“ ნ. | 11 | 3 | 4 | 4 | 11—13 | 10 |
| ასკ ოდ. | 11 | 3 | 3 | 5 | 14—11 | 9 |
| „ზვეზდა“ | 11 | 3 | 3 | 5 | 8—10 | 9 |
| „ალგა“ | 11 | 3 | 2 | 6 | 11—19 | 8 |
| „კოლხოზჩი“ | 11 | 2 | 4 | 5 | 9—13 | 8 |
| „მეტალურგი“ | 11 | 3 | 1 | 7 | 14—20 | 7 |
| „სპარ.“ ორ. | 11 | 3 | 1 | 7 | 9—14 | 7 |
| „პამირი“ | 9 | 3 | 1 | 5 | 5—11 | 7 |
| „ნისტრუ“ | 11 | 0 | 7 | 4 | 3—9 | 7 |
| „დინამო“ ლ. | 11 | 2 | 2 | 7 | 11—18 | 6 |

# ერთი მატჩის ლოგიკა

თბილისი. სპორტის სასახლე. 11 მაისი.

„დინამო“ (თბილისი) — „სტატიბა“ (ვილნიუსი) 82:80 (37:33).

„დინამო“: ჯორჯიკია (28), ბაბუნაშვილი (20), კ. ლომიძე (14), დარსაძე (10), ნათობიძე (4), გლაზოვი (4), ძიძიგური (2), ტომარაძე, მ. ლომიძე, ბელოზიორსკი.

„სტატიბა“: მატკიავიჩუსი (25), შეშკუსი (12), კურკუზინსკასი (11), ვაინაუსკასი (11), კუზმიუკასი (10), ბაშორუნასი (6), მალერასი (4), პოციუსი (1), კილასი, გურკლისი.

მსაჯები: ნ. ჩერნომაზოვი (ლენინგრადი), ა. გლადიშჩევი (ვორონეჟი).

**ამ ბოლო** დროს სპორტის ყველა სახეობაში და, მათ შორის, კალათბურთშიც აშკარად შეიმჩნევა „გაახალგაზრდავების“ ტენდენცია. პირველი და უმაღლესი ლიგის კოლექტივებს თავი რომ დავანებოთ, თვით ქვეყნის ნაკრებ გუნდშიც მომრავლდნენ 19-20 წლის სპორტსმენები და თუ საერთაშორისო სარბიელზე საბჭოთა ნაკრების ბოლო პერიოდის ბალანსს გადავხედავთ, ახალბედები არც თუ ურიგოდ ართმევენ თავს საპატიო მოვალეობას. ესეც რომ არა, პერსპექტიულ კალათბურთელებზე აქცენტის გადატანის ტენდენცია, თავისთავად მისასალმებელი ამბავია და არ შეიძლება სასიკეთოდ არ იმოქმედოს საბჭოთა კალათბურთის ხვალინდელ დღეზე.

მკითხველს კარგად მოეხსენება, რომ რამდენიმე სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზის გამო უმაღლესი ლიგის კალათბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატი წლეულს უჩვეულოდ, „ელვისებურად“ ჩატარდა და ისე დასრულდა, რომ ქართველ მაყურებელს თბილისის „დინამოს“ არც ერთი თამაში არ უნახავს. ახლებურად ტარდება, აგრეთვე, დუბლშემადგენლობათა ტურნირი: გარდა იმისა, რომ შეიცვალა ასპარეზობის სისტემა (შეჯიბრება სამ ტურად ეწყობა), გადახალისდა თვით სახელწოდებაც და ახლა იგი იუნიორ კალათბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის სახით მიმდინარეობს. ერთი დეტალიც: ჩემპიონატში მონაწილე გუნდებში დუბლშემადგენლობის გარდა ძირითადი შემადგენლობის ახალგაზრდა კალათბურთელებიც გამოდიან, რაც წერილის დასაწყისში გამოთქმულ მოსაზრებას ადასტურებს.

იუნიორთა საკავშირო ჩემპიონატი სადაცაა აპოგეას მიაღწევს და თუ პირველი მატჩების შედეგებს გადავავლებთ თვალს (I ტურში, რომელიც კლაიპედაში ჩატარდა, თბილისის დინამოელებმა ექვსიდან ხუთი შეხვედრა მოიგეს და ახლა ლენინგრადის „სპარტაკთან“ ერთად ლიდერობენ გათამაშებას), უთ-

**სსრ კავშირის ჩემპიონატი იუნიორ კალათბურთელთა შორის (II ტური)**

●

უოდ გვაქვს საფუძველი ქართული კალათბურთის მომავალს ოპტიმიზმით ვუყუროთ. საქმე ისაა, რომ თბილისის „დინამოს“ იუნიორთა გუნდი იმ კალათბურთელებითაა დაკომპლექტებული, ხვალ და ზეგ



ჩვენი უპირველესი კოლექტივის ძირითად ძალად რომ უნდა მოგვევლინონ და შემდეგ ის საპატიო ტვირთი ატარონ, ქართული კალათბურთის პრესტიჟი რომ ჰქვია.

„სტატიბასთან“ შეხვედრაში მასპინძლები აშკარად შესუსტებული შემადგენლობით გამოვიდნენ (ზ. გრძელიძე და შ. სინჯარაძე მოსკოვის ნაკრებთან ერთად ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფებიან, ტრავმირებულია ცენტრალური თავდამსხმელი რ. გარუჩავა) და ამან, ბუნებრივია, უარყოფითად იმოქმედა მატჩის საბოლოო შედეგზე. „სტატიბა“ რომ ხელწამოსაკრავი გუნდი არაა, ეს პირველსავე წუთებზე გამოჩნდა. ვილნიუსელები თავიდანვე დაეუფლნენ ინიციატივას და მერე საკმაო ხანს არ გაუშვიათ ხელიდან. პირველი 12 წუთი ისე მიიწურა, რომ თბილისელებმა მხოლოდ 10 ქულის მოგროვება შეძლეს და მეტოქეს საგრძნობლად ჩამორჩნენ (10:19).

შეხვედრის ბედი, ფაქტიურად, პირველი ტაიმის ბოლოსა და მეორის დასაწყისში გადაწყდა. ამ მონაკვეთში ყველაფერი გამოსდიოდა „დინამოს“ — მახვილგონივრული კომბინაციები, სწრაფი გარღვევები; საშუალო და შორი მანძილიდან ტყორცნები. განსაკუთრებით აქტიურობდა ბაბუნაშვილი, რომელიც პარტნიორთა იერიშებს აგვირგვინებდა და დაცვაშიც ასწრებდა. ვილნიუსელთა უპირატესობა თვალსა და ხელს შუა გაქრა და ახლა ისინი აღმოჩნდნენ მდევრის როლში.

ერთი მატჩის მიხედვით, რა თქმა უნდა, ძნელია გუნდის საერთო პოტენციალზე მსჯელობა, მით უმეტეს, თუ მან რამდენიმე წამყვანი მოთამაშის გარეშე ჩაატარა ეს მატჩი. არ ვიცი როგორ ითამაშებენ მომდევნო შეხვედრებს თბილისელები, მაგრამ ერთის თქმა ახლაც შეიძლება — „დინამო“ თავის ძალაში აშკარად დარწმუნებული გამოვიდა მოედანზე და მიუხედავად იმისა, რომ მომეტებულმა თვითდაჯერებამ გუნდს თამაშის გარკვეულ მონაკვეთებზე ცუდი სამსახური გაუწია, გადაჭრით შეიძლება ითქვას — არც კალათბურთელებს, არც მწვრთნელებს, თვით მაყურებლებსაც კი ეჭვი არ შეპარვიათ საბოლოო გამარჯვებაში. რადგან ამ სიტუაციაში ანგარიშში სხვაობას პრინციპული მნიშვნელობა არ ჰქონდა, მოთამაშეებმა თავს უფლება მისცეს მხოლოდ ეპიზოდურად (როგორც ამას მატჩის მსვლელობა კარნახობდა) გამოევლინათ თავიანთი შესაძლებლობა.

აქედან გამომდინარე, ალბათ, ლოგიკურიც იყო, რომ საფინალო სასტვენამდე ათიოდე წუთით ადრე მასპინძლები ერთთავად „მოეშვნენ“ და მეტოქეს ანგარიშის გათანაბრების საშუალება მისცეს. ეს იყო და ეს. შემდეგ „დინამო“ კვლავ მთელი ძალით ათამაშდა (ახლა უკვე ჯორჯიკიამ და დარსაძემ გამოიჩინეს თავი) და საბოლოო გამარჯვებაც მას დარჩა — 82:80.

* * *

**გუშინ** თბილისის „დინამომ“ მორიგი შეხვედრა მინსკის რტისთან ჩაატარა და დაამარცხა იგი ანგარიშით 115:114 (58:56). მასპინძელთაგან საუკეთესო იყო კ. ჯორჯიკია, რომელმაც თავის გუნდს 29 ქულა შესძინა.

სხვა მატჩების შედეგები ასეთია: „სტროიტელი“ — ვეფ-ი 95:88 (45:43), „ჟალგირისი“ — „სტატიბა“ 120:113 (55:48).

**ე. ბერიშვილი.**

* * *

სურათზე: კ. ჯორჯიკია (თეთრ მაისურში) უტევს ვილნიუსელთა კალათს.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

● ფეხბურთი

# II ლიგა

11 მაისს შედგა ფეხბურთში საკავშირო გათამაშების მორიგი ტურის კალენდარული მატჩები II ლიგის IV ზონის გუნდებს შორის. ჩვენი კორესპონდენტები ტელეფონით გვატყობინებენ ამ შეხვედრათა შესახებ:

## „დინამო“ (ბათუმი) — „ტურბინა“ (ნაბერეჟნიე ჩელნი) 2:0

სტუმრებმა წინა ტურში მარცხი განიცადეს სოხუმში და აქ სცადეს სრული ძალით ებრძოლათ თუნდაც 1 ქულის ასაღებად, მაგრამ სულ მალე ცხადი გახდა, რომ ამ ამოცანის შესრულება მათს შესაძლებლობას აღემატებოდა. ბათუმელებმა სწრაფი ტემპი შესთავაზეს მეტოქეს და ზედიზედ რამდენიმე სახიფათო მომენტიც შექმნეს. მე-20 წუთზე „დინამოს“ მიეცა ანგარიშის გახსნის რეალური შესაძლებლობა: „ტურბინის“ ერთ-ერთმა მცველმა ხელით ითამაშა თავის საჯარიმო მოედანზე, რისთვისაც მსაჯმა დანიშნა 11-მეტრიანი, მაგრამ ბეჟანიძის დარტყმა მოიგერია მეკარე ამელკინმა. 10 წუთის შემდეგ სტუმრების მცველებმა ზედ კარის ხაზზე მიუსწრეს გორგილაძის მიერ დარტყმულ ბურთს.

ბათუმელთა იერიშებს შედეგი მოჰყვა მხოლოდ 43-ე წუთზე, როცა მენაბდე მოპირდაპირე მცველებთან ბრძოლაში კარგად დაეუფლა ბეჟანიძის გადაცემას და ზუსტად გაგზავნა ბურთი ბადეში—1:0.

მეორე ნახევარში ბრძოლის სურათი არ შეცვლილა. როგორც კი განახლდა თამაში, მეკარესთან პირისპირ გავიდა ბეჟანიძე და ამ მომენტში იგი მცველებმა წააქციეს. მეორე პენალტის დარტყმა დინამოელებმა ბოხუას მიანდეს და ანგარიში გახდა 2:0.

**ო. მურვანიძე.**

## „დინამო“ (ზუგდიდი) — „ტორპედო“ (ტოლიატი) 0:1

წარუმატებლად ჩატარებული რამდენიმე მატჩის შემდეგ ზუგდიდელთა წინაშე კვლავ დგას ქულათა მარაგის შევსების გადაუდებელი პრობლემა. ამ გეგმით უნდა ეთამაშა გუნდს მორიგ მეტოქესთან — ტოლიატის გამოცდილ კოლექტივთან, მაგრამ დასახული ამოცანის შესრულება არ მოხერხდა, ზუგდიდელებმა მარცხიანად ითამაშეს და მორიგი წაგება იწვნიეს, ამჯერად უკვე საკუთარ მინდორზე.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ზუგდიდელებს ჰქონდათ წარმატების მოპოვების საშუალება. ისინი დიდხანს უტევდნენ, მაგრამ შედეგი არა და არ ჩანდა. გოლის გატანა შეეძლოთ ბ. თუთბერიძეს, ჩიმაკაძეს, იბრაჰიმოვს, გუნიას.

35-ე წუთზე ტოლიატელებმა საპასუხო იერიში განავითარეს. აქ კარგად ითამაშა სიდოროვმა და გოლი გაიტანა.

ზუგდიდელმა ფეხბურთელებმა, მოლოდინის საწინააღმდეგოდ, მეორე ტაიმში კიდევ უფრო გააუარესეს თამაში და ნაცვლად იმისა, რომ გამოესწორებინათ შეცდომები, შეანელეს ტემპი, დაკარგეს კოლქტივიზმი. ასეთ ვითარებაში „ტორპედომ“ შეინარჩუნა გამარჯვება.

**გ. ალშიბაია.**

● ჭადრაკი

# კვლავ წარმატება

**აბაშა, 12 მაისი** (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). საქართველოს ქალთა პირველობაში, რომელიც რაიონის კულტურის სახლში მიმდინარეობს, VI ტურის შეხვედრები ჩატარდა.

კვლავ წარმატებით ითამაშეს ლიდერებმა. ც. კახაბრიშვილმა (თბილისი) მოუგო ნ. ჰეფხოძეს, თ. მესხმა (ორივე — ქუთაისი)— ლ. დანელიას (აბაშა), ც. ქასოშვილმა (გორი) — ვ. დანელიას (აბაშა).

ახლა კახაბრიშვილს 5,5 ქულა აქვს, მესხსა და ქასოშვილს — 5-5.

პირველი მარცხი იწვნია ქუთაისელმა ი. ესებუამ, რომელმაც აქამდე ყველა პარტია ყაიმით დაამთავრა. მას ლ. ბელოზიოროვამ (თბილისი) მოუგო. ნ. სიჰინავამ (გალი) სძლია ნ. ფილიას (თბილისი). 11 წლის ლ. აგბაბიშვილმა (რუსთავი) დაამარცხა მ. ჩაჩიბაია (ცხაკაია). ყაიმით დამთავრდა თბილისის ჩემპიონ ლ. თანდაშვილის შეხვედრა ნ. გოგიასთან (ცხაკაია).

დაუმთავრებელი დარჩა ქ. გაჩეჩილაძე (თბილისი) — ე. ფახიროვას (ქუთაისი) შეხვედრა.

**ო. თვალთვაძე,**
პირველობის მთავარი მსაჯი.

# საქართველოს პირველობა

II ჯგუფი

I ზონა

„არმაზი“ (მცხეთა) — „ფიჩხოვანი“ (ახმეტა) 3:1, „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) — „იორი“ (თიანეთი) 3:0, „თრიალეთი“ (წალკა) — „გარეჯი“ (საგარეჯო) 1:4, „ალგეთი“ (მარნეული) — „იბერია“ (ქარელი) 4:0, „ბახტრიონი“ (ახმეტა) — „ქართლი“ (გორის რაიონი) 0:2, „სპარტაკი“ (ცხინვალი) — „აბული“ (ახალქალაქი) 6:0, „დურუჯი“ (ყვარელი) — „განახლება“ (ადიგენი) 5:2, „ალაზანი“ (გურჯაანი) — ტაქსომოტორი № 3 (თბილისი) 2:1, „მესხეთი“ (ახალციხე) — „ვარძია“ (ასპინძა) 1:1.

II ზონა

„სამგურალი“ (წყალტუბო) — „სენაკი“ (ცხაკაია) 2:0, „ოჯალეში“ (ბანძა) — „ავტომობილისტი“ (ბათუმი) 1:1, „ლესიჭინე“ (ჩხოროწყუ) — „გიგანტი“ (ლაითური) 0:0, „ავტომობილისტი“ (გუდაუთა) — „შახტიორი“ (ტყვარჩელი) 2:0, „ლელო“ (დიდი ჯიხაიში) — „ნაკადული“ (ჩხოროწყუ) 1:2, „ჩიხურა“ (საჩხერე) — „ავტომობილისტი“ (აბაშა) 3:1, „თოლია“ (სოხუმი) — „მექალალდე“ (ზუგდიდი) 0:0, „სულორი“ (ვანი) — „ჩამომსხმელი“ (ბორჯომი) 4:2, „შუქურა“ (ქობულეთი) — „ბახმარო“ (ჩოხატაური) 1:1, „დინამო“ (ქუთაისი) — „ნარუჯა“ (მახარაძე) 3:1.

## საჯარიმო დარტყმა

გაფრთხილებული არიან შემდეგი ფეხბურთელები: გ. ამიდიანი („მეტალურგი“, რუსთავი), მ. ბახტაძე (პოლიტექნიკური ინსტიტუტი, თბილისი), თ. მარგველაშვილი („ენერგეტიკოსი“, თერჯოლა), ვ. ჩხიკვაძე („მერცხალი“, მახარაძე), დ. კობერიძე („ვარძია“, ასპინძა), თ. ბიძიშვილი („მესხეთი“, ახალციხე), ო. წიკლაური, ი. მახარაძე (ორივე — „ჩიხურა“, საჩხერე), ა. მეით-ოღლი („ივერია“, ხაშური).

**საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამართველო.**







**სსრ** კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადისთვის მზადების განვლილი ეტაპი საქართველოს ველოსიპედისტებისთვის ერთობ ნაყოფიერი გამოდგა. ეს წლევანდელმა სტარტებმა თვალნათლივ დაადასტურეს — რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ტრეკზე გამართულ შეჯიბრებებში მათ რამდენიმე საგულისხმო გამარჯვება მოიპოვეს, ვ. ჩევარდოვმა კი საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალიც მოიხვეჭა ექვსდღიან რბოლაში.

და აი, ახლა თბილისის ცენტრალურ ველოდრომზე ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებმაც მორიგი შესანიშნავი წარმატება იზეიმეს. სპრინტში საქართველოს ტელევიზიის დიდი პრიზის გათამაშების მონაწილენი — საბჭოთა კავშირის, ალჟირის, ავსტრიის, პოლონეთის, უნგრეთის, ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიის და გდრ-ის ველოსიპედისტები ძალებს ცდიდნენ პროგრამის რიგ სხვა სახეობებშიც, რომლებშიც მასპინძლებმა იმდენი გამარჯვება მოიპოვეს, რამდენიც არასოდეს უზეიმიათ.

მონაწილეთა სიმრავლის გამო რიგ სახეობებში ტურნირი ორ ჯგუფად ჩატარდა — ერთში სტუმრებისა და საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდების წევრები მონაწილეობდნენ, მეორეში — მოკავშირე რესპუბლიკების, ქალაქების, ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებების უძლიერესი ველოსიპედისტები ცდიდნენ ძალებს, მაგრამ სიძლიერით ისინი ერთმანეთისგან ბევრად როდი განსხვავდებოდნენ.

საქართველოს ტელევიზიის დიდი პრიზის გათამაშება იყო პირველი ეტაპი სოციალისტური ქვეყნის მრავალტურიანი შეჯიბრებისა, რომელიც 29-30 ივნისს ლაიპციგში დამთავრდება. იქ მაშინ გათამაშდება გდრ-ის დიდი პრიზი. მანამდე კიდევ ორი ეტაპი ჩატარდება: 30-31 მაისს ლოძში ამ ქალაქის პრიზზე გაიმართება შეჯიბრება, ხოლო 20-21 ივნისს ბრნოში მოეწყობა ადგილობრივი ტელევიზიის დიდი პრიზის გათამაშება.

ვიტყობინებოდით, რომ თბილისის სტარტამდე ერევანში მოეწყო საერთაშორისო შეჯიბრება, რომელშიც ჩვენი სტუმრებიც მონაწილეობდნენ გდრ-ის სპორტსმენების გარდა. გერმანელებმა პირდაპირ თბილისში ჩამოსვლა ამჯობინეს და ჩვენი დედაქალაქის ტრეკზე გამართეს ვარჯიშები. როგორც ჩანს, ისინი თბილისურ სტარტებს უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და გულმოდგინედ ემზადებოდნენ. ეს რომ ასე იყო, თვით შეჯიბრებამ დაადასტურა.

გდრ-ის გუნდში სხვებთან ერთად იყვნენ მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონატის მეორე და მესამე პრიზიორები ე. რაში და კ. დრეშერი. საქართველოს ტელევიზიის დიდი პრიზისთვის ბრძოლა სპრინტში ორ დღეს გაგრძელდა. ნახევარფინალში 3 გდრ-ისა და 1 საბჭოთა სპორტსმენი გავიდა. ეს ფაქტი თავისთავად მეტყველებს, რომ გდრ-ის ველოსიპედისტები უკვე შესანიშნავ სპორტულ ფორმაში არიან. ნახევარფინალში ისინი ასე დაწყვილდნენ: ლ. ჰესლიკი (გდრ) და ამ პრიზის შარშანდელი მფლობელი ს. ჟურავლიოვი (სსრ კავშირი). რაში და დრეშერი. ამ დუეტებს შორის გამარჯვებულნი გაითამაშებდნენ მთავარ პრიზს.

ჰესლიკმაც და რაშმაც თავიანთი ნახევარფინალები ისე მოიგეს, რომ მესამე ცდის ჩატარება საჭირო არ ყოფილა. სამაგიეროდ, ფინალურ რბოლაში რაშს გაუჭირდა — ჰესლიკთან პირველი ცდა წააგო, მაგრამ მეორე და მესამე ცდაზე უპირატესობა მის მხარეს აღმოჩნდა და დიდი პრიზიც დაისაკუთრა. რაში პირველი უცხოელი სპორტსმენია, რომელმაც ჩვენი ტელევიზიის დიდი პრიზი მოიგო.

# ქართული ფინალი

## საქართველოს ტელევიზიის დიდ პრიზზე

მესამე ადგილისთვის ბრძოლაში ჟურავლიოვმა სამიდან ორ ცდაში დაამარცხა დრეშერი.

გდრ-ის სპორტსმენებიდან თავი გამოიჩინა ლ. თომასმაც, რომელმაც 1000 მეტრზე გიტში შესანიშნავი მაჩვენებელი (1.06,17) მოიპოვა და 0,42 წამით აჯობა ე. რაპს (სსრ კავშირის ნაკრები).

ახლა იმაზე, თუ საქართველოს სპორტსმენებმა სად გამოიჩინეს თავი.

**4 კილომეტრზე გამოდევნებით ინდივიდუალურ შეჯიბრებაში** 46 პირველი პრიზის მაძიებელი იყო, მათ შორის უცხოელებიც. **ერთადერთი მთავარი პრიზი მოიპოვა თბილისელმა სტუდენტმა ვ. ჩევარდოვმა,** რომელიც ამ ასპარეზობაში სსრ კავშირის ნაკრების ღირსებასაც იცავდა. მაგრამ გამარჯვებაც არის და გამარჯვებაც. პეტრემ (4.53,56) 5,51 წამით უფრო ადრე დაამთავრა რბოლა, ვიდრე II ადგილზე გასულმა ა. კრასნოვმა.

**ჭეშმარიტად ქართული გამოდგა საბჭოთა სპორტსმენების ფინალური შეჯიბრება სპრინტში.** ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების წევრმა, თბილისის 115-ე საშუალო სკოლის მეათეკლასელმა ე. გელაშვილმა აქ საერთაშორისო შეჯიბრებიდან გადმოინაცვლა, ადვილად დაამარცხა ჯერ რსფსრ-ს გუნდის წევრი მ. კოროტკოვი, მერე მისი თანაგუნდელი გ. პოლიაკოვი და ფინალში ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტის, ასევე საკავშირო ნაკრების წევრის გ. დვალიშვილის პირისპირ დადგა. ფინალამდე გივიმაც რამდენიმე ბრძოლა მოიგო, მერე მეოთხედფინალში ი. დოროშკოვი (შეიარაღებული ძალები) გამოთიშა შეჯიბრებიდან, ხოლო ნახევარფინალში — ა. მიროშნიკოვი (ყაზახეთი).

ფინალში აქაც გადამწყვეტი რბოლის გამართვა გახდა საჭირო, ვინაიდან მანამდე მეტოქეებმა — ემზარმა და გივიმ თითო ცდა მოიგეს. საბოლოოდ დვალიშვილმა იმარჯვა.

ამ ტურნირში ჩევარდოვმა კიდევ ერთი გამარჯვება იზეიმა, ოღონდ ამჯერად სსრ კავშირის ნაკრებში. ვ. პეტრაკოვთან, უ. ანსონსთან და ნ. მაკაროვთან ერთად 4 კილომეტრზე გამოდევნებით გუნდური რბოლის ფინალში მათ ადვილად დაამარცხეს ლატვიის გუნდი, რომლის შედეგია 4.33,08. გამარჯვებულებმა 4.29,54 აჩვენეს.

ტურნირზე ორი ჯგუფური რბოლა ჩატარდა. გამარჯვების დღეს — 9 მაისს 60 წრეზე 20 საშუალედო ფინიშით პირველობისთვის 40 კაცი იბრძოდა. უძლიერესი აღმოჩნდა ქვეყნის ნაკრების წევრი ვ. პეტრაკოვი, რომელმაც მთელი დისტანცია 29 წუთსა და 40 წამში დაფარა (25 ქულა მოაგროვა). მეორე დღეს გაცილებით მეტმა მონაწილემ მოიყარა თავი, თუმცა დისტანცია ამჯერად 75 წრეს (25 საშუალედო ფინიშით) შეადგენდა.

გამარჯვებული სპორტსმენი საერთაშორისო კლასის ოსტატობის ნორმას ასრულებდა. ალბათ ამანაც განაპირობა, რომ ბრძოლა უაღრესად დაძაბული გამოდგა, ტემპი — თავბრუდამხვევი, ყოველ საშუალედო ფინიშისკენ სპორტსმენები თავდაუზოგავად მიისწრაფოდნენ, მაგრამ **საბოლოოდ წარმატება მოიპოვა თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტის IV კურსის სტუდენტმა ა. სივოჟელეზოვმა** („განთიადი“), რომელსაც კ. პოგორელოვი ავარჯიშებს. სივოჟელეზოვმა ყველაზე მეტი, 24 ქულა მოაგროვა. **იგი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი გახდა.**

შეჯიბრების შემდეგ ტურნირის ორგანიზაციაზე აზრის გამოთქმა ვთხოვეთ სსრ კავშირის სპორტკომიტეტის მთავარ მწვრთნელს **ე. ბოეჩინს.**

— ასპარეზობა შესანიშნავად იყო ორგანიზებული. მე ამის შესახებ უკვე მითხრეს გდრ-ისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდების წარმომადგენლებმა, რასაც სხვა უცხოელი სტუმრებიც ადასტურებენ. სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ომარ ფხაკაძემ (ის შეჯიბრების მთავარი მსაჯი იყო) შეძლო მეგობრების დარაზმვა და ყველა რბოლა ზუსტად გრაფიკით, ორგანიზებულად ჩაატარა. ალბათ ესეც არის მიზეზი, რომ შედეგები ამ პერიოდისთვის ჩვეულებრივზე მაღალია. მაგალითად, რაშმა თავისი ერთ-ერთი მეოთხედფინალური რბოლის დროს 200 მეტრი სვლით 10,6 წამში გაიარა. ეს თითქმის ფხაკაძის მსოფლიოს რეკორდის გამეორებაა...

საქართველოს სპორტსმენთა მაჩვენებლებზე რესპუბლიკის ნაკრების უფროს მწვრთნელს **ო. ფხაკაძეს** რამდენიმე კითხვით მივმართეთ. მისი პასუხების საერთო აზრი ასეთია:

სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადებისთვის მზადების ამ ეტაპზე ჩვენი ველოსიპედისტები ინდივიდუალურ დავალებას მთლიანად ასრულებენ. და თუ ასე გაგრძელდა, თუ გუნდში ტრავმებმა არ იჩინეს თავი, მოსკოვის სტარტებიდან იმდენ ქულას ჩამოვიტანთ, რომ საამაყოდ გვეყოს. აღსანიშნავია, რომ ქვეყნის ნაკრებში ახლა საქართველოდან იმდენი ოსტატია, რამდენიც არასოდეს ყოფილა. ეს საქართველოს სპორტკომიტეტის სათანადო ზრუნვის, მწვრთნელების მონდომების, ველოსიპედისტთა დაუზარელი მუშაობის შედეგია. ჩვენი ძალების მორიგი შემოწმება მოხდება სსრ კავშირის ქალაქების მატჩში, რომელიც ათიოდე დღის შემდეგ აქვე დაიწყება, რის მერე მთელს ძალებს შემჩნეული ხარვეზების სალიკვიდაციოდ მივმართავთ...

ფხაკაძე გამოცდილი სპეციალისტია და გვჯერა, რომ მისი აღსაზრდელები მაჩვენებლებს კიდევ უფრო აამაღლებენ.

**ო. გელაშვილი.**

* * *

**სურათებზე:** საქართველოს ტელევიზიის დიდი პრიზის მფლობელი ე. რაში; თბილისელი ვ. ჩევარდოვი; ე. გელაშვილი (მარცხნივ) და გ. დვალიშვილი; 4 კილომეტრზე გამოდევნებით გუნდურ რბოლაში გამარჯვებული სსრ კავშირის I ნაკრები დისტანციაზე; სპრინტში შეჯიბრების მომენტი.

ავტორის ფოტოები.





● **ველოსპორტი**

## დაწინაურდა საბჭოთა ნაკრები

**9 მაისს** პრაღაში სტარტი აიღო მშვიდობის მორიგმა ველორბოლამ. ამ 32-ე ასპარეზობის მარშრუტია პრაღა—ვარშავა—ბერლინი. ტურნირი დაიწყო 6 კილომეტრზე სისწრაფის გამოცდით. აქ ყველას აჯობა პოლონელმა ი. იანკევიჩმა, რომელმაც პრაღის ქუჩებში ეს მანძილი 6.43-ში დაფარა. გუნდური პირველობაც პოლონელებმა მოიგეს.

შემდეგ გაიმართა შეჯიბრება პირველ ეტაპზე (პრაღა — პარდუბიცე — 127 კმ). იგი მოიგო 18 წლის ბულგარელმა ნ. სტაიკოვმა — 2:51.53. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ს. ნიკიტენკო (სსრ კავშირი) და ბ. დროგანი (გდრ), ორივეს შედეგია 2:52.26.

მეორე ეტაპი ოლომოუცამდე (172 კილომეტრი) იყო. იგი ყველაზე სწრაფად დაფარა მ. კლასმა (ჩეხოსლოვაკია) — 3:51.01. მას ოდნავ ჩამორჩა ს. ნიკიტენკო — 3:51.06.

ორი ეტაპის შემდეგ გუნდურ ჩათვლაში დაწინაურდა საბჭოთა ნაკრები — 20:31.38. პირად ჩათვლაში ლიდერობს სტაიკოვი — 6:50.11. შემდეგ მოდიან კლასი (6:50.13) და ნიკიტენკო (6:50.21).

● **კრივი**

## ევროპაში უძლიერესნი

**საბჭოთა** მოკრივეთა ნაკრებმა გუნდმა, რომელიც გფრ-ის ქალაქ კიოლნში ევროპის ჩემპიონატში გამოდის, გუშინდელი ფინალური ორთაბრძოლების შედეგების მიუხედავად, უკვე გაინაღდა კონტინენტის უძლიერესი ნაკრების სახელი.

ფინალში, რომელიც გვიან ღამით გაიმართა, იბრძოდა 8 საბჭოთა მოკრივე. ამრიგად, საბჭოთა გუნდმა, როგორც ევროპაში უძლიერესმა, უფლება მოიპოვა ცალკე გუნდით გამოვიდეს მსოფლიოს თასის გათამაშებაში, რომელიც ოქტომბერში აშშ-ში გაიმართება.

● **წყალში ხტომა**

## ორმაგი გამარჯვება

საფრანგეთის ქალაქ რენში წყალში მხტომელთა დიდ საერთაშორისო შეჯიბრებაში ორმაგი გამარჯვება მოიპოვა ერევნელმა დ. ამბარცუმიანმა. მან გაიმარჯვა როგორც ტრამპლინიდან (556,50 ქულა), ისე კოშკიდან (538,85) წყალში ხტომაში, მეორე ადგილზე საბჭოთა სპორტსმენები გავიდნენ—ტრამპლინზე მინსკელი ა. პორტნოვი, ხოლო კოშკიდან მისი თანაქალაქელი ს. ნიკიფორენკო.

● **ტანვარჯიში**

## კვლავ კომენეჩი

**მონრეალის** ოლიმპიადის აბსოლუტურმა ჩემპიონმა, რუმინელმა ტანმოვარჯიშემ ნადია კომენეჩმა მესამედ მოიპოვა ევროპის ჩემპიონობა, ამჯერად კოპენჰაგენში — 39,45 ქულა. II ადგილზეა მისი თანაგუნდელი ემილია ებერლე — 38,85. საბჭოთა სპორტსმენები — როსტოველი ნატალია შაპოშნიკოვა (38,75) და მოსკოველი ელენე მუხინა (38,70) შესაბამისად III და IV ადგილებზე გამოვიდნენ.

## «სპორტლოტო»

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტლოტოს“ მე-18 ტირაჟების შედეგები.

**„სპორტლოტო“ 6—49-დან:**

**პირველი:** ექვსი ციფრის გამოცნობისთვის (1 ბარათი) მოგება 10000 მანეთია, ექვსისთვის (შეღავათიანი ბურთულით, 1 ბარათი) — 2404, ხუთისთვის (20 ბარათი) — 1404, ხუთისთვის (შეღავათიანი ბურთულით, 26 ბარათი) — 76, ოთხისთვის (898 ბარათი) — 51, სამისთვის (15698 ბარათი) — 3.

**მეორე:** ექვსი და ექვსი (შეღავათიანი ბურთულით) ციფრები ვერავინ გამოიცნო; ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (7 ბარათი) მოგება 2687 მანეთია, ხუთისთვის (შეღავათიანი ბურთულით, 31 ბარათი) — 66, ოთხისთვის (472 ბარათი) — 41, სამისთვის (8237 ბარათი) — 3.

**„სპორტლოტო“ 5—36-დან:**

**პირველი:** ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (5 ბარათი) მოგება 8059 მანეთია, ოთხისთვის (745 ბარათი) — 94, სამისთვის (22525 ბარათი) — 4.

**მეორე:** ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (2 ბარათი) მოგება 10000 მანეთია, ოთხისთვის (430 ბარათი) — 222, სამისთვის (16887 ბარათი) — 5.

„სპორტლოტოს“ მე-19 ტირაჟებში, რომელიც 12 მაისს გაიმართა, მოგება ხვდათ შემდეგ ციფრებს:

**„6—49-დან“. პირველი:** 6, 19, 21, 22, 25, 47. შეღავათიანი ბურთულა — 10; **მეორე:** 3, 4, 9, 13, 23, 49. შეღავათიანი ბურთულა — 1.

**„5—36-დან“. პირველი:** 6, 9, 14, 27, 32; **მეორე:** 9, 12, 16, 30, 31.

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26: სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

ИНДЕКС 66435 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17. უე 02174